სსიპ კოლეჯი «სპექტრი»

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა

2019-2025 წლების სტრატეგია

ქ. თბილისი

2019 წელი

1. შესავალი ---------- 3
2. სტრატეგიული გეგმის შექმნის საფუძვლები ---------- 4
3. მისია, კონცეფციები, ხედვა, ღირებულებები ---------- 5
4. კოლეჯის საქმიანობის SWOT ანალიზი ---------- 6
5. სიტუაციური ანალიზი ---------- 11
6. კოლეჯის სტრატეგიული მიზნები ---------- 12
7. 2019- 2025 წლების განვითარების სტრატეგია ---------- 13 - 20
8. საკონტაქტო ინფორმაცია ---------- 21

შესავალი

კოლეჯის შესახებ და ისტორია

კოლეჯი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის და სამინისტრო.
კოლეჯი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით, ,,პროფესიული განათლების შესახებ" და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონებით, სხვა ნორმატიული აქტებით და კოლეჯის წესდებით.
კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელება შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კუტურისა და სპორტის სამინისტროსთან, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, სსიპ-მასწავლებელთა განვითარების ეროვნულ ცენტრთან, სსიპ-შეფასების და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან, სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციასთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, კერძო სექტორთან და სხვა პარტნიორებთან ერთად.
სსიპ კოლეჯი „სპექტრი" პროფესიული განათლების მიმართულებით არის ერთ-ერთი ცნობილი სასწავლებელი საქართველოში, რომლის ისტორია თავის საწყისს 1922 წლიდან იღებს. სსიპ კოლეჯი „სპექტრი" სამართალმემკვიდრეა:

1. პოლიტექნიკური კოლეჯის;
2. ტოპოგრაფიული კოლეჯის;
3. ტექნიკური კოლეჯის;
4. საფინანსო-ეკონომიური ლიცეუმის;
5. №54 -ე, №63 -ე, №74 -ე, №107 და №120 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების;
6. სამშენებო-ავტომექანიზაციის ლიცეუმის;
7. ლიცეუმ „სერვისის"

სსიპ - კოლეჯ „სპექტრში" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება ორი მიმართულებით - ინჟინერიის და ხელოვნების. ინჟინიერიის მიმართულების პრორგრამებიდან კოლეჯი ამ დროისათვის ახორციელებს 7 დარგის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას - მშენებლობა; ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია; მასალათმცოდეობა; სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია; ტრანსპორტი; გარემოს ინჟინერია და კომპიუტერინგი/ინფორმატიკა. ხელოვნების მიმართულების პრორგრამებიდან კოლეჯი ახორციელებს 2 დარგის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას - დიზაინი და სახვითი ხელოვნება.

ძირითადი მიღწევები

2007 წლიდან უცხოელი პარტნიორების, კერძოდ, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს **(USAID)** თანამონაწილეობით, პროფესიულმა სასწავლებელმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ინფრასტრუქტურა და მატერიალურ–ტექნიკური ბაზა და დანერგა ინჟინერიის მიმართულების ახალი სასწავლო პროგრამები.
2010 წელს კოლეჯსა და **ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს** საგანმანათლებლო პროგრამის „განათლება დემოკრატიისათვის" ფარგლებში დაინერგა და განხორციელდა ახალი პროფესიული პროგრამა.
კოლეჯი 2013 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს **ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროსთან** ინკლუზიური სწავლების დანერგვისა და განხორციელების მიზნით.
კოლეჯმა 2012-13 წელს **„გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების" (GIZ)** აქტიური მხარდაჭერითა და შპს „კაპაროლ ჯორჯიას", კ/ს „კნაუფ გიპს თბილისის" და შპს „ჰაიდელბერგცემენტის" ჩართულობით შეიმუშავა ერთობლივი პროგრამები, სტანდარტები და სილაბუსები ინჟინერის მიმართულების 5 პროგრამაზე. მათივე მხარდაჭერით განხორციელდა პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, დაინერგა თანამედროვე

ტექნოლოგიები, გარემონტდა და აღიჭურვა სასწავლო ლაბორატორიები, შეიქმნა სახელმძღვანელოები (ელექტრიკოსის, შემდუღებლის, თაბაშირმუყაოს, მებათქაშის და მღებავის პროგრამებისთვის).
2015 წლის 9 სექტემბერს **ხარისხის მართვის ევროპული ფონდის EFQM** „გზა სულყოფილებისაკენ“ მოდელის განხორციელების ფარგლებში კოლეჯს ეწვია ხარისხის მართვის ევროპული ფონდის EFQM ექსპერტი და ამავე ფონდის ვალიდატორთა ჯგუფი. ექცპერტისა და ვალიდატორების დასკვნის საფუძველზე კოლეჯის ორმა საკუთარმა და ერთმა საერთო გაუმჯობესების პროექტმა წარმატებით გაიარა ვალიდაცია EFQM სრულყოფის დონის პირველი საფეხურზე და მიიღო EFQM სრულყოფაზე ორიენტირების აღიარება, რის საფუძველზეც ამავე წლის ნოემბერში დაწესებულება დაჯილდოვდა ხარისხის მართვის ევროპული ფონდის EFQM „გზა სულყოფილებისაკენ“ მოდელის სერტიფიკატით.
კოლეჯმა 2016 წელს მონაწილეობა მიიღო **ათასწლეულის გამწვევის კორპორაციის MCC** მიერ გამოცხადებულ კონკურსში, და გამარჯვების შემდგომ, პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის“ ISWD პროფესიული განათლების განვითარების საგრანტო პროგრამის ფარგლებში 2017 წელს გაიარა **ბრიტანული საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაციის BTEC** ავტორიზაცია 4 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რის საფუძველზეც ამავე წლის შემოდგომიდან დაწესებულება ახორციელებს სწავლებას **Pearson**-ის საერთაშორისო აღიარების 4 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (შემდუღებლი - საბაზო და საშუალო საფეხური; ელექტროობა - საბაზო და საშუალო საფეხური; ჰაერის კონდიცირება - საშუალო საფეხური და წყალმომარაგება/წყალარინების სიტემების ექსპლუატაცია - საშუალო საფეხური).
კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და სწავლების ხარისხის შემდგომი სრულყოფის მიზნით კოლეჯი მუდმივად გეგმავს და ახორციელებს საქმიანობას სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით.

სტრატეგიული გეგმის შექმნის საფუძვლები

სსიპ-კოლეჯ „სპექტრის“ სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა კოლეჯის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტია, რომელიც შექმნილია საქართველოს განვითარების სტრატეგიული გეგმისა და საქართველოს პროფესიული განათლების სტრატეგიის საფუძველზე სასწავლებლის პერსონალის, პროფესიული სტუდენტების და პარტნიორების ერთობლივი მუშაობის შედეგად, ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.
სსიპ-კოლეჯ „სპექტრის“ სტრატეგიული განვითარების გეგმა მიმოიხილავს დაწესებულების მისიას, როლს და ადგილს პროფესიულ განათლებაში, გრძელვადიან ხედვას, ღირებულებეს, მნიშვნელოვან მიზნებსა და ამოცანებს, მათი გადაწყვეტის გზებსა და საშუალებებს.
კოლეჯის სტრატეგიული გეგმა საჯარო დოკუმენტია, რომლის საშუალებითაც სასწავლებელი ცდილობს, გაუზიაროს საკუთარი სამომავლო გეგმები ყველა დაინტერესებულ მხარეს და ჩართოს ისინი საქმიანობის შეფასებისა და შემდგომი სრულყოფის პროცესებში.

მისია, კონცეფციები, ხედვა, ღირებულებები

კოლეჯის **მისიაა** სასწავლებლის მომსახურებით დაინტერესებულ ყველა პირს მიაწოდოს პროფესიული განათლების მაღალი ხარისხის მომსახურება ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით და ამით შექმნას პირობები მათი საგანმანათლებლო მიზნების განხორციელებისა და წარმატებული თვითრეალიზაციისთვის მთელი სიცოცხლის მანძილზე.

კოლეჯის **კონცეფციებია:**

- მომხმარებლის ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინება;
- ორგანიზაციის მდგრადი მომავლის შექმნა;

- ეფექტიანი/მოქნილი მართვა;
- შემოქმედებითობის ხელშეწყობა;
- ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარება;
- ლიდერობა პროფესიული განათლების სეგმენტში დაწესებულებაში ერთიანი ხედვის, შთაგონების და მიდგომების დანერგვის გზით.

კოლეჯის **ხედვაა** 2029 წლისათვის გახდეს ამიერკავკასიაში ერთ-ერთი ცნობილი პროფესიული სასწავლებელი სწავლებისა და მომსახურების მაღალი ხარისხით, პროფესიონალი-მოტივირებული მასწავლებლებით, მოტივირებული პროფესიული სტუდენტებით/მსმენელებით, წარმატებული კურსდამთავრებულებით, მოქნილი ადმინისტრირებით, დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროებითა და მრავალრიცხოვანი პარტნიორებით.

კოლეჯის **ღირებულებებია:**

- პასუხისმგებლიანობა;
- გუნდურობა;
- პროფესიონალიზმი;
- მუდმივი მზაობა სწარაფადცვალებადი მოთხოვნებისადმი;
- საქმიანობის გამჭვირვალეობა;
- თანამშრომლობითი, უსაფრთხო, დაცული და ესთეტიური სასწავლო გარემო;
- მოტივირებული პროფესიული განათლების მასწავლებლები;
- მოტივირებული პროფესიული სტუდენტები/მსმენელები;
- მოტივირებული და კვალიფიციური პერსონალი;
- შრომის ბაზარზე ორიენტაცია;
- კოლეჯის მომსახურებით დაინტერესებული ყველა მხარის, მათ შორის საზოგადოების მოთხოვნების მაქსიმალურად გათვალისწინება.

კოლეჯის საქმიანობის სიტუაციური (SWOT) ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
• არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და განვითარების პერსპექტივა • სრულად ადაპტირებული უსაფრთხო გარემო • კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლები • ადმინისტრირების გამოცდილება • დაწესებულების იმიჯი • დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გამოცდილება • საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების ინტერესი და ამგვარ ორგანიზაციებთან ჩამოყალიბებული ურთიერთობები • მზარდი მოთხოვნა სპეციალისტებზე სამშენებლო სფეროში • სახელმწიფო მხარდაჭერა და პოლიტიკა • კონკურენტების სიმწირე • კოლეჯის მდებარეობა	• დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო არასაკმარისი ფინანსური რესურსი. • ზოგიერთი დარგის პროფესიული განათლების კვალიფიციური, მოტივირებული მასწავლებლების ნაკლებობა • მომსახურების ძირითადი მომხმარებლებისათვის სწავლების არასაკმარისი ხელმისაწვდომობა • თანამედროვე სასწავლო და მეთოდური ლიტერატურის ნაკლებობა • პროფესიული სტუდენტების/მსმენელების არასაკმარისი მოტივაცია • სარეაბილიტაციო სასწავლო სახელოსნოები • კვალიფიკაციის მინიჭების დაუხვეწავი სისტემა

• შრომის ბაზარზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული დისბალანსი • ინჟინერიის მიმართულების პროგრამების მოტივირებული კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობები	
შესაძლებლობები	**რისკები, საფრთხეები**
• შრომის ბაზრის მზარდი მოთხოვნა ინჟინერიის მიმართულების პროგრამებზე • პროფესიული განათლების პოპულარობის ზრდა • დაფინანსების დამატებითი წყაროების მოზიდვის შესაძლებლობა	• ქვეყნის სტრატეგიული განვითარებისა და პროფესიული განათლების განვითარების ერთიანი კონცეფციის არარსებობა • კვალიფიციური პერსონალის გადინების საშიშროება • პროფესიულ განათლებაში ჩართული დამსაქმებელი კომპანიების არასაკმარისი მოტივაცია • სახელმწიფო სუბსიდიების და საკუთარი შემოსავლების სიმწირე • პროფესიული განათლებისადმი მოსახლეობის მენტალური დამოკიდებულება • არასტაბილური ინსტიტუციური გარემო • დამსაქმებელთა მხრიდან კოლეჯის კურსდამთავრებულების დაბალი ანაზღაურება

სიტუაციური ანალიზი

ორგანიზაციის ძლიერი მხარეები

<u>არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და განვითარების პერსპექტივა</u>

კოლეჯს ამჟამად გააჩნია სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი 23 კაბინეტ-ლაბორატორია მათ შორის 5 ბრენდირებული, 12 სასწავლო სახელოსნო, 3 ინოვაციური ტექნოლოგიების ლაბორატორია (FABLAB), ბიბლიოთეკა 128 438 წიგნით, ღია სპორტული მოედანი, საკონფერენციო დარბაზი, პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტი და ავტოდრომი. კოლეჯის სარგებლობაშია არსებული აუთვისებელი ფართი ოთხსართულიანი შენობის (საერთო ფართით 2920 მ²) 3 სართული და სარეაბილიტაციო სასწავლო სახელოსნოები (საერთო ფართით 879 მ²), რომელთა ათვისება მნიშვნელოვნად გაზრდის კოლეჯის შესაძლებლობებს.

<u>სრულად ადაპტირებული უსაფრთხო გარემო</u>

კოლეჯის მოქმედი შენობა-ნაგებობებიდან ერთი (ადმინისტრაციული) არის სრულად ადაპტირებული, ასევე ადაპტირებულია მეორე (ოთხსართულიანი) შენობის პირველი სართული. კოლეჯში დაცულია პერსონალის და სტუდენტების/მსმენელების უსაფრთხოება, რისთვისაც დაწესებულებას გააჩნია უსაფრთხოების დაცვის შიდა მექანიზმი და თანამედროვე სისტემა. დაწესებულებაში ფუნქციონირება სათანადოდ აღჭურვილი მედდის კაბინეტი სადაც, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა.

<u>კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლები</u>

კოლეჯის 49 პროფესიული განათლების მასწავლებლიდან 45 არის უმაღლესი განათლებით (მათ შორის 4 სამეცნიერო ხარისხით), რომელთაგან უმეტესობას დამატებით აქვს პროფესიულ განათლებაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, ასევე 19 მათგანს პროფესიული საქმიანობის პრაქტიკული (დარგობრივი ცოდნა და უნარები) გამოცდილება. ასევე, კოლეჯის მასწავლებელებს კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების კუთხით მიღებული აქვთ მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ტრენინგებში.

<u>ადმინისტრირების გამოცდილება</u>

კოლეჯის პერსონალი - დირექციის და ადმინისტრაციის წარმომადგენლები არიან უმაღლესი განათლებით (დირექცია - 3, ადმინისტრაცია -18), ასევე, მათ უმეტეს ნაწილს გააჩნია პროფესიულ განათლებაში მოღვაწეობის მრავალწლიანი (მინიმუმ 5 წლიანი) გამოცდილება, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს განახორციელოს ეფექტიანი ადმინისტრირება.

<u>დაწესებულების იმიჯი</u>

ამ დროისათვის კოლეჯი მიჩნეულია საქართველოში ინჟინერიის მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ ერთ-ერთ წამყვან პროფესიულ სასწავლებლად, რაც განაპირობებს სასწავლებლისადმი მზარდ ინტერესს.

<u>დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გამოცდილება</u>

დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გამართული სქემები, 70-ზე მეტი პარტნიორი კერძო და სახელმწიფო კომპანია (მათგან 17 ოპერირებს იმ საწარმოო რაიონში სადაც მდებარეობს „სპექტრი“) შესაძლებლობას უქმნის კოლეჯს უკეთ გაეცნოს ბაზრის ცვალებად, თანამედროვე მოთხოვნებს და გააუმჯობესოს მომსახურების სერვისი.

პარტნიორი კერძო და სახელმწიფო კომპანიების მოტივაცია ითანამშორმლონ პროფესიულ სასწავლებლებთან, ერთის მხრივ, მნიშვნელოვანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის საქმეში და, მეორეს მხრივ, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების გაზრდისათვის.

<u>საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების ინტერესი და ამგვარ ორგანიზაციებთან ჩამოყალიბებული ურთიერთობები</u>

ქვეყანაში არსებობს პროფესიული განათლების განვითარების მხარდაჭერის ინტერესი, როგორც სახელმწიფოს ისე - საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხრიდან, რაზეც მეტყველებს პროფესიული განათლების განვითარებაში ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაწეული დახმარების მასშტაბები.

კოლეჯს გააჩნია საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მრავალწლიანი გამოცდილება, რომლის შესაბამისად გეგმავს და ახორციელებს საკუთარ საქმიანობას. დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, კერძოდ: „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისთან“ - (GIZ) და ნორვეგიის განათლებისა და კვლევის

სამინისტროსთან, ხარისხის მართვის ევროპულ ფონდთან - EFQM, ათასწლეულის გამწვევის კორპორაციასთან - MCC და ბრიტანულ საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაცია - BTEC -თან.

<u>მზარდი მოთხოვნა სპეციალისტებზე სამშენებლო სფეროში</u>

სამშენებლო სფერო ქვეყანის ეკონომიკის ერთ-ერთ სწარაფადგანვითარებად, სტაბილურ სეგმენტს წარმოადგენს. ქვეყნის ბიუჯეტის სოლიდური ნაწილი ამ სფეროდან შემოსული შემოსავლებით ივსება. ასევე სტაბილურად იზრდება მოთხოვნა მშენებლობის ბიზნესის პროდუქტზე, შესაბამისად მშენებლობის სეგმენტის კვალიფიციურ კადრებზე, დამატებით იკვეთება მოთხოვნა ახალ პროფესიებზე.

<u>სახელმწიფო მხარდაჭერა და პოლიტიკა</u>

2018 წლის 20 სექტემბერს მიღებული საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ და პროფესიული განათლების განვითარების მიმდინარე სახელმწიფო პოლიტიკა მნიშვნელოვნად ზრდის კოლეჯის შანსებს, მოიპოვოს სახელმწიფო მხარდაჭერა განვითარების სტრატეგიული პროექტებისათვის, სერვისის ხარისხის გაუმჯობესებისა და სერვისის დივერსიფიკაციის მიმართულებით.

<u>კონკურენტების სიმწირე</u>

ქვეყნის მასშტაბით მსგავსი მიმართულებების (ინჟინერია) პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება არის მხოლოდ რამდენიმე, აქედან ორია განთავსებული თბილისში, დანარჩენი კი- რეგიონებში. ამასთან, სავარაუდო კონკურენტი დაწესებულებები განთავსებულია თბილისის სხვა რაიონებში, რის გამოც კოლეჯს, დღეის მდგომარეობით, არ ჰყავს არსებულ ბაზარზე ანგარიშგასაწევი კონკურენტები, რაც ზრდის ბენეფიციარების მოზიდვის ალბათობას, თუმცა, მომავალში ამან შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კოლეჯის განვითარებაზე.

<u>კოლეჯის მდებარეობა</u>

კოლეჯი მდებარეობს ქალაქ თბილისის ინდუსტრიულ რაიონში, სადაც განთავსებულია 17-ზე მეტი სხვადასხვა ტიპისა და ზომის საწარმო. აღნიშნულ საწარმოებში 2015-2018 სასწავლო წელს ინჟინერიის მიმართულების სხვადასხვა პროგრამებზე საწამოო პრაქტიკა გაიარა და შემდგომში დასაქმდა 322 კურსდამთავრებული, რამაც კურსდამთავრებულთა მთლიანი რაოდენობის 67% შეადგინა.
კოლეჯი „სპექტრი“ მისადგომად მოსახერხებელია: საგარეჯოს, გარდაბნის და მარნეულის რაიონებისთვის, ასევე მცხეთასა და რუსთავში მცხოვრებთათვის. 2016-2018 სასწავლო წელს აღნიშნული რაიონებიდან და ქალაქებიდან კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა დაასრულა მთლიანი კონტიგენტის (495 კურსდამთავრებული) 37%- მა.

<u>შრომის ბაზარზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული დისბალანსი</u>

ამ დროისათვის შრომის ბაზრის მოთხოვნას და პროფესიული განათლების პროვაიდერების მიერ კვალიფიციური კადრების მიწოდებას შორის ინჟინერის მიმართულების კურსდამთავრებულებზე არსებობს მნიშვნელოვანი დისბალანსი, კერძოდ მნიშვნელოვნად მეტია შრომის ბაზრის მხრიდან მოთხოვნა კვალიფიციურ კადრებზე, ვიდრე აწვდიან პროფესიული დაწესებულებები, რაც იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ შრომის ბაზრის გაჯერება ინჟინერის მიმართულების კურსდამთავრებულებით ახლო და შორეულ პერსპექტივაში ნაკლებად მოსალოდნელია.

ინჟინერიის მიმართულების პროგრამების მოტივირებული კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობები

სამშენებლო ბიზნესი, რომელის ითხოვს ინჟინერიის მიმართულების კვალიფიციურ კურსდამთავრებულებს არის სტაბილურად მზარდი და მოთხოვნადი, რაც იძლევა საშუალებას დაწესებულებამ განახორციელოს მოტივირებული კურსდამთავრებულების უდიდესი უმრავლესობის წარმატებული დასაქმება. ასევე, ქვეყანაში დაგეგმილი და მიმდინარე მშენებლობები ტოვებს იმედს, რომ ტენდენცია უახლოეს მომავალში არ შეიცვლება.

ორგანიზაციის შესაძლებლობები

შრომის ბაზრის მზარდი მოთხოვნა ინჟინერის მიმართულების პროგრამებზე

ამ დროისათვის ქვეყანაში მიმდინარე და დაგეგმილი მასშტაბური მშენებლობები მნიშვნელოვნად ზრდის კოლეჯის შესაძლებლობებს გაზარდოს მომსახურების დაფარვის ზონა და მომსახურებით დაინტერესებული პირების/ორგანიზაციების რაოდენობა.

პროფესიული განათლების პოპულარობის ზრდა

დღეის მდგომარეობით არასკმარისი ტემპით, თუმცა განუხრელად იზრდება პროფესიული განათლების პოპულარობა, რაც დაწესებულებას შესაძლებლობას აძლევს შეინარჩუნოს და გაზარდოს განვითარების ტემპი, უზრუნველყოს დაწესებულების მდგრადი განვითარება.

დაფინანსების დამატებითი წყაროების მოზიდვის შესაძლებლობა ახალი კანონის საფუძველზე

„საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ“ შესაბამისად კოლეჯს უჩნდება შესაძლებლობა „განახორციელოს ეკონომიკური საქმიანობა, მათ შორის, სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზაცია/ანაზღაურებადი მომსახურების გაწევა, აგრეთვე მოიზიდოს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ფინანსური სახსრები, მათ შორის, მიიღოს შემოსავალი ისეთი ეკონომიკური საქმიანობიდან, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო არ არის და სწავლების ხარისხზე უარყოფითად არ მოქმედებს“. აღნიშნული განაპირობებს კოლეჯის ეკონომიკურ მდგრადობას და დაეხმარება სტრატეგიული მიზნების მიღწევაში.

ორგანიზაციის სუსტი მხარე:

დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო არასაკმარისი ფინანსური რესურსი.

დაფინანსების არსებული სისტემა არ იძლევა იმის საშუალებას, კოლეჯმა მოქნილად-წარმატებით განახორციელოს დაგეგმილი აქტივობები, რაც პროფესიული სტუდენტების/მსმენელების და პერსონალის მოტივაციის გაზრდის წინაპირობა გახდება, რისთვისაც საჭიროა კოლეჯის ფინანსური მდგომარეობის გამყარება.

პროფესიული განათლების კვალიფიციური, მოტივირებული მასწავლებლების ნაკლებობა

დღეის მდგომარეობით პროფესიული განათლების მასწავლებლების საათობრივი ანაზღაურება არ იძლევა იმის საშუალებას, რომ, უმეტეს შემთხვევაში, კოლეჯში მოხდეს მაღალი რანგის პროფესიონალების მასწავლებლად მოწვევა თანამედროვე წარმოებაში მოთხოვნად პროფესიებში მიღებული მუშაობის

გამოცდილებით, რაც მნიშვნელოვნად გაზრდიდა სწავლების ხარისხს. ასევე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს კოლეჯის მასწავლებლების ასაკი, 49 მასწავლებლიდან საპენსიო ასაკისაა 19 მასწავლებელი.

<u>მომსახურების ძირითადი მომხმარებლებისათვის სწავლების ხელმისაწვდომობა</u>

ინჟინერიის მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (რაც დაწესებულების ძირითადი მიმართულებაა) კოლეჯის პროფესიული სტუდენტების ძირითად ნაწილს (დაახლოებით 35-40%), წარმოადგენენ რაიონების მაცხოვრებლები, რომელთა უმეტესობის სოციალური მდგომარეობა არ იძლევა საშუალებას საკუთარი სახსრებით მოახდინონ ბინის ქირის გადახდა, შესაბამისად რთულდება სწავლა/სწავლებაზე მათი ხელმისაწვდომობა. ამისათვის მნიშვნელოვანია სტუდენტური საერთო საცხოვრებლის მოწყობა.

<u>პროფესიული სტუდენტების არასაკმარისი მოტივაცია</u>

ინჟინერიის მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების წარჩინებული პროფესიული სტუდენტებისათვის სტიპენდიის არარსებობა არის გამოწვევა, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს მათ მოტივაციას. ვინაიდან მათი უმეტესობა არის სოციალურად შეჭირვებული ფენის წარმომადგენელი და ხშირად ვერ ახერხებს სწავლის დასრულებას, ამიტომ წარჩინებული სტუდენტებისათვის შემოღებული სტუდენტური სტიპენდია გაზრდის მათ მოტივაციას, არა მარტო ისწავლონ, არამედ ისწავლონ საუკეთესოდ.

<u>თანამედროვე სასწავლო და მეთოდური ლიტერატურის ნაკლებობა</u>

ქართულ ენაზე გამოშვებული საჭირო რაოდენობისა და თემატიკის თანამადროვე სასწავლო სახელმძღვანელოებისა და მეთოდური ლიტერატურის ან/და ინტერნეტრესურსის ნაკლებობა მნიშვნელოვნად ამცირებს კოლეჯის შესაძლებლობას მიაწოდოს მომხმარებელს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მომსახურება.

<u>სარეაბილიტაციო სასწავლო სახელოსნოები</u>

კოლეჯს გააჩნია ცალკე მდგომი სარეაბილიტაციო სასწავლო სახელოსნოების შენობა-ნაგებობა (საერთო ფართით 879 $მ^2$), რომლის რეაბილიტაცია საშუალებას მისცემს მოახდინოს ბაზარზე მოთხოვნადი იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება, რომლებსაც ამ ეტაპზე ვერ ახორციელებს, და რომლის განხორციელების გამოცდილებაც მას გააჩნია. აღნიშნული საკითხის მოგვარება მნიშვნელოვნად გაზრდის დაწესებულების შესაძლებლობებს. ასევე, დაწესებულებას მიეცემა საშუალება „საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ“ შესაბამისად განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის კოლეჯის სტრატეგიული განვითარებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების მობილიზების შანსებს.

<u>კვალიფიკაციის მინიჭების დაუხვეწავი სისტემა</u>

კოლეჯი 2015 წლამდე ახორციელებდა მხოლოდ საგნობრივ პროგრამებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე (მოდულური) გადასვლის შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა შეფასების სისტემა, ასევე კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურა, შესაბამისად დაწესებულების მენეჯმენტი და პროფესიული მასწავლებლები ახალ სისტემაზე გადასასვლელად და კვალიფიკაციის მინიჭების დახვეწილი პროცედურის შემუშავება-განხორციელებისათვის საჭიროებენ შესაბამის უნარების განვითარებას, რაც, გარკვეულწილად, მიღებულ გამოცდილებასთან არის დაკავშირებული.

რისკები, საფრთხეები

ქვეყნის სტრატეგიული განვითარებისა და პროფესიული განათლების განვითარების ერთიანი კონცეფციის არარსებობა

ამ დრიოსათვის არ არსებობს კვლევებზე დაფუძნებული ქვეყნის განვითარებისა და პროფესიული განათლების განვითარების ერთიანი კონცეფცია. აღნიშნული კონცეფციის არსებობა დაწესებულებას საშუალებას მისცემდა განესაზღვრა მომავალში მოთხოვნადი პროფესიები, სავარაუდო მისაღები კონტიგენტი და მომსახურების დაფარვის ზონა და შესაბამისად უკეთ განესაზღვრა საკუთარი განვითარების სტრატეგია. ამგვარი კონცეფციის არარსებობის გამო შესაძლებელია კოლეჯისათვის ამ ეტაპზე პრიორიტეტული პროგრამები მომავალში აღარ მიიჩნიოს სახელმწიფომ პრიორიტეტად და დაწესებულებას მოუწიოს საქმიანობის ძირითადი პროფილის კორექტირება.

კვალიფიციური პერსონალის გადინების საშიშროება

პერსონალის ანაზღაურების ან/და მოტივაციის არსებული სისტემა ზღუდავს კოლეჯს მოიზიდოს და შეინარჩუნოს ახალგაზრდა, კვალიფიციური პერსპექტიული კადრები.

პროფესიულ განათლებაში ჩართული დამსაქმებელი კომპანიების არასაკმარისი მოტივაცია

პროფესიულ განათლებაში ჩართული კომპანიებისათვის და დამსაქმებლისათვის, ასევე მათთვის, ვინც შესაძლებელია, შემდგომში ჩაერთოს განათლების ამ სეგმენტში, არასაკმარისი მოტივაცია მნიშვნელოვნად ამცირებს შანსს, აქტიურად ჩაერთონ პროფესიული განათლების სისტემაში და ხელი შეუწყონ განათლების ამ სეგმენტის სწორ განვითარებას.

სახელმწიფო სუბსიდიებისა და საკუთარი შემოსავლების სიმწირე

კოლეჯის ფუნქციონირებისათვის საჭირო სახელმწიფოს მიერ სუბსიდირების სახით გამოყოფილი დაფინანსება (პროგრამული/ვაუჩერული), ასევე საკუთარი შემოსავლებიდან მიღებული თანხები არ არის საკმარისი დაწესებულების სტრატეგიული მიზნების სრულყოფილად განსახორციელებლად. არსებული ფინანსური რესურსებით ნაკლებადაა შესაძლებელი პროფესიონალი/მოტივირებული პერსონალის ადგილზე დამაგრება, სტუდენტების/მსმენელების მოტივაციის გაზრდა და სტუდენტების/მსმენელების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის კოლეჯის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხს.

პროფესიული განათლებისადმი მოსახლეობის მენტალური დამოკიდებულება

მიუხედავად სახელმწიფოს მიერ გაწეული საქმიანობისა, ამ დროისათვის პროფესიული განათლება ჯერ კიდევ ვერ გახდა მოსახლეობაში სათანადოდ პოპულარული. ინჟინერიის მიმართულების პროგრამების კურსდამთავრებულებზე, რაც დაწესებულების ძირითადი პროფილია, მნიშვნელოვნად მეტია შრომის ბაზრის მოთხოვნა ვიდრე ამ პროგრამებზე სწავლის მსურველთა რაოდენობაა. აღნიშნული ტენდენცია ნელი ტემპით, თუმცა მაინც დადებითისკენ იცვლება, რისი ერთ-ერთი მიზეზიც პროფესიული განათლებისადმი საქართველოს მოსახლეობის არსებული მენტალური დამოკიდებულებაა.

არასტაბილური ინსტიტუციური გარემო

„საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ“ მიღებულ იქნა 2018 წლის 20 სექტემბერს, შესაბამისად ამ დროისათვის არ არის დასრულებული კანონქვემდებარე აქტების/რეგულაციების

შემუშავება, არ არის დასრულებული სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ძირითადი სტანდარტების და ჩარჩო დოკუმენტების მოდიფიცირება, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ არ არის დასრულებული პროფესიული განათლების მასწავლებლის ერთიანი სტანდარტის შემუშავება, ასევე, ზოგიერთი მიმართულებით არ არსებობს ქართულ ენაზე ნათარგმნი და გამოცემული თანამედროვე სასწავლო და მეთოდური ლიტერატურა რაც პროფესიული განათლების სეგმენტში განვითარების სტაბილურობას შეუწყობდა ხელს.

<u>დამსაქმებელთა მხრიდან კოლეჯის კურსდამთავრებულების დაბალი ანაზღაურება</u>

ხშირია შემთხვევა, როდესაც კოლეჯის წარჩინებული კურსდამთავრებული საქმდება კომპანიაში სადაც არსებული შრომისა და ანაზღაურების პირობები არ შეესაბამება კურსდამთავრებულის მოლოდინებს და მუშაობის დაწყებიდან გარკვეული დროის შემდეგ კურსდამთავრებული ტოვებს დამსაქმებელს და უერთდება უმუშევართა რიგებს.

კოლეჯის სტრატეგიული მიზნები:

2019-25 წლებში კოლეჯი ხუთი ძირითადი სტრატეგიული მიმართულებით იმუშავებს;

I. **ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაუმჯობესება;**

II. **სწავლების ხარისხის გაუმჯობესება;**

III. **ინფრასტრუქტურის განვითარება;**

IV. **ფინანსური შესაძლებლობების გაუმჯობესება;**

V. **კოლეჯის მომსახურების საზღვრების გაზრდა.**

2019- 2025 წლების განვითარების სტრატეგია

I. **სტრატეგიული მიზანი** - ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაუმჯობესება										
ამოცანა	**განსახორციელებელი აქტივობა**	**პასუხისმგებელი პირები**	**ანგარიშგების პერიოდი**							**ინდიკატორი**
			2019	2020	2021	2022	2023	2024	2025	
1. ადმინის ტრაციული პერსონალის შესაძლებლობების გაუმჯობესება	1.1 პერსონალის საქმიანობის შეფასების მოქნილი სისტემის შემუშავება	დირექტორი, დ.მოადგილე, იურისტი		+						პერსონალის ჩართულობით შემუშავებული შეფასების სისტემა
	1.2 პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის დანერგვა			+						ზრძანებით დამტკიცებული პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემა
	1.3 პერსონალის საჭიროებების განსაზღვრა	დ.მოადგილე		+	+	+	+	+	+	პერსონალის საჭიროებების განსაზღვრისათვის ჩატარებული შიდა კვლევის ანგარიში
	1.4 პერსონალის საჭიროებების მიხედვით გადამზადება	დირექტორი, დ.მოადგილე		+	+	+	+	+	+	მონაცემები გადამზადებული პერსონალის შესახებ
	1.5 წარმატებული და ნაკლებადწარმატებული პერსონალის გამოვლენა			+	+	+	+	+	+	მონაცემები წარმატებული და ნაკლებადწარმატებული პერსონალის შესახებ
	1.6 პერსონალის მოტივაციის გაზრდა	დირექტორი, დ. მოადგილე, იურისტი		+	+	+	+	+	+	მონაცემები წარმატებული და ნაკლებადწარმატებული პერსონალის შესახებ. წამატებულების წახალისების და ნაკლებადწამატებულების დისციპლინური პასუხისმგებლობის ბრძანება
2. მასწავლებლების შესაძლებლობების გაუმჯობესება	2.1 მასწავლებლების საქმიანობის შეფასების სისტემის დანერგვა-განხორციელება	ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი	+	+	+	+	+	+	+	მასწავლებლების საქმიანობის შეფასების სისტემის მიხედვით შედგენილი წლიური ანალიზის დოკუმენტი
	2.2 მასწავლებლების საჭიროებების განსაზღვრა		+	+	+	+	+	+	+	მასწავლებლების საჭიროებების განსაზღვრისათვის ჩატარებული შიდა კვლევა
	2.3 მასწავლებლების საჭიროებების მიხედვით გადამზადება		+	+	+	+	+	+	+	მონაცემები გადამზადებული მასწავლებლების შესახებ
	2.4 წარმატებული და ნაკლებადწარმატებული მასწავლებლების	ხარისხის მართვის მენეჯერი		+	+	+	+	+	+	მონაცემები წარმატებული და ნაკლებადწარმატებული

	გამოვლენა									მასწავლებლების შესახებ
	2.5 მასწავლებლების მოტივაციის გაზრდა	დირექტორი, დ. მოადგილე, იურისტი		+	+	+	+	+	+	მონაცემები წარმატებული და ნაკლებადწარმატებული მასწავლებლების შესახებ. წამატებულების წახალისების და ნაკლებადწამატებულების დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ ბრძანება
	2.6 კოლეჯში ახალი კადრების მოზიდვა	დირექტორი, დ.მოადგილე	+	+	+	+	+	+	+	გამოცხადებული ვაკანსიები
II. სტრატეგიული მიზანი - სწავლების ხარისხის გაუმჯობესება										
ამოცანა	**განსახორციელებელი აქტივობა**	**პასუხისმგებელი პირები**	**ანგარიშგების პერიოდი**							**ინდიკატორი**
			2019	2020	2021	2022	2023	2024	2025	
1. სწავლების წარმატებული მეთოდების დანერგვა	1.1 სწავლების მეთოდების რეგულარული შეფასება	ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, სტუდენტთა სერვის კოორდინატორი		+	+	+	+	+	+	წლიური ანალიზის დოკუმენტი სწავლების მეთოდების შესახებ
	1.2 სწავლების წარმატებული მეთოდების მოძიება			+	+	+	+	+	+	წლიური ანგარიში სწავლების წარმატებული მეთოდების მოძიებისთვის ჩატარებული აქტივობის შესახებ
	1.3 სწავლების წარმატებული მეთოდების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობა			+	+	+	+	+	+	სამსახურებრივი ბარათი ან შეტყობინება სწავლების წარმატებული მეთოდების დაინტერესებული პირებისთვის გაცნობის შესახებ
	1.4 სწავლების წარმატებული მეთოდების დანერგვა			+	+	+	+	+	+	საწვლების წარმატებული მეთოდებს დამტკიცების ბაძანება, წლიური ანგარიში სწავლების წარმატებული მეთოდების დანერგვის შესახებ
2. სასწავლო პროცესის დახვეწა	2.1 სასწავლო და კალენდარული გეგმების და პროგრამების შეფასების სიტემის შემუშავება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით	ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის		+						დაინტერესებული მხარეების ჩართულობით შემუშავებული სასწავლო, კალენდარული გეგმების და პროგრამების შეფასების სიტემა

	2.2 სასწავლო და კალენდარული გეგმების და პროგრამების შეფასების სიტემის დანერგვა-განხორციელება	მენეჯერი, სტუდენტთა სერვის კოორდინატორი		+	+	+	+	+	+	წლიური ანგარიში სასწავლო და კალენდარული გეგმების პროგრამების შეფასების შესახებ. განხორციელებული ცვლილებები სასწავლო და კალენდარულ გეგმებში პროგრამებში
3. წარჩინებული პროფესიული სტუდენტების/მსმენელების რაოდენობრივი ზრდა	3.1 წარჩინებული-მოტივირებული სტუდენტების/მსმენელების შეფასების მოქნილი სისტემის შემუშავება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით	სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი, სტუდენტთა სერვის კოორდინატორი, იურისტი		+						დაინტერესებული მხარეების ჩართულობით შემუშავებული წარჩინებული სტუდენტების/მსმენელების შეფასების სიტემა
	3.2 წარჩინებული-მოტივირებული სტუდენტების/მსმენელების შეფასების სისტემის დანერგვა			+						წარჩინებული სტუდენტების/მსმენელების შეფასების სიტემის დამტკიცების ბრძანება
	3.3 წარმატებული და ნაკლებადწარმატებული სტუდენტების/მსმენელების გამოვლენა			+	+	+	+	+	+	ყოველწლიური მონაცემები წარმატებული და ნაკლებადწარმატებული სტუდენტების/მსმენელების შესახებ
	3.4 ნაკლებადწარმატებული სტუდენტების/მსმენელების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესება			+	+	+	+	+	+	ყოველწლიური ანგარიში ნაკლებადწარმატებული სტუდენტების/მსმენელების მიმართ განხორციელებული აქტივობების შესახებ
	3.5 სტუდენტების/მსმენელების მოტივაციის გაზრდა	დირექტორი, იურისტი		+	+	+	+	+	+	წარმატებული სტუდენტების/მსმენელების წახალისებისა და ნაკლებადწარმატებულების დისციპლინური სასჯელის შესხებ ბრძანება
	3.6 წარჩინებული კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლის გაზრდა	კარიერისა და პროფორიენტაციის დაგეგმვის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი	+	+	+	+	+	+	+	ყოველწლიური მონაცემები წარჩინებული სტუდენტების დასაქმების შესახებ
	3.7 კურსდამთავრებულის დასაქმების, მათ შორის, საკუთარი	კარიერისა და პროფორიენტაციის	+	+	+	+	+	+	+	ყოველწლიური მონაცემები დასაქმებული

	ბიზნესის წამოწყებისა და თვითდასაქმების, ხელშეწყობა	დაგეგმვის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი								კურსდამთავრებულის, მათ შორის, საკუთარი ბიზნესის წამოწყებისა და თვითდასაქმების შესახებ
	3.8 პროფესიული სტუდენტების/მსენელების ჩართულობის გაზრდა კოლეჯის მიერ დაგეგმილ კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი, სტუდენტთა სერვის კოორდინატორი	+	+	+	+	+	+	+	ყოველწლიური ანგარიში განხორციელებული სპორტული და კულტურული ღონისძიებების შესახებ
	3.9 პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ჩართულობის გაზრდა კოლეჯის სტრატეგიის შემუშავება-განსაზღვრაში	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი, სტუდენტთა სერვის კოორდინატორი	+	+	+	+	+	+	+	ეგუფხელების ელ.ფოსტაზე გაგზავნილი კოლეჯის შიდა დოკუმენტები და უკუკავშირის დამადასტურებელი წერილები
4. კოლეჯის თანამედროვე სასწავლო/მეთოდური ლიტერატურით აღჭურვა	4.1 არსებული ლიტერატურის შეფასება	ბიბლიოთეკარი	+	+	+	+	+	+	+	ყოველწლიური ანგარიში სასწავლო/მეთოდური ლიტერატურის შეფასების შესახებ
	4.2 საჭირო თანამედროვე სასწავლო/მეთოდური ლიტერატურის მოძიება	ბიბლიოთეკარი								ყოველწლიური ინფორმაცია მოძიებული მთანამედროვე სასწავლო/მეთოდური ლიტერატურის შესახებ
	4.3 თანამედროვე სასწავლო/მეთოდური ლიტერატურის შემოტანა	ბიბლიოთეკარი, მთავარი ბუღალტერი, ლოჯისტიკი	+	+	+	+	+	+	+	თანამედროვე სასწავლო/მეთოდური ლიტერატურის შესყიდვის ან ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

III. სტრატეგიული მიზანი – ინფრასტრუქტურის განვითარება

ამოცანა	**განსახორციელებელი აქტივობა**	**პასუხისმგებელი პირები**	**ანგარიშგების პერიოდი**							**ინდიკატორი**
			2019	2020	2021	2022	2023	2024	2025	
1. სასწავლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	1.1 დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რეგულარული შეფასება	მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი	+	+	+	+	+	+	+	ანალიზის დოკუმენტი არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასების შესახებ
	1.2 კოლეჯის ცალკემდგომი შენობის - საწაავლო სახელოსნოების რეაბილიტაციის პროცესის დასრულება	დირექტორი, დ.მოადგილე, იურისტი, მთავარი ბუღალტერი, შესყიდვების სპეციალისტი, ლოჯისტიკი, მატერიალური რესურსების უზრუნველყო			+					რეაბილიტირებული სასწავლო სახელოსნოები
	1.3 სტანდარტების შესაბამისად, ასევე წარმოებაში				+	+	+	+	+	სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი სასწავლო

	დანერგილი თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით, საწაავლო სახელოსნოების აღჭურვა	ფის კოორდინატორი. დამხმარე თანამშრომელი								სახელოსნოები, აღჭურვილობის ფლობის დოკუმენტაცია
	1.4 საერთო საცხოვრებლის შენობის 3 სართულის ადაპტაცია/რეაბილიტაციის პროცესის დსრულება				+					ადაპტირებული/რეაბილიტირებული საერთო საცხოვრებლის შენობა
	1.5 საერთო საცხოვრებლის შენობის 4 სართულის აღჭურვა					+				მთლიანად აღჭურვილი საერთო საცხოვრებლის 4 სართულიანი შენობა
2. სასწავლო გარემოს გაუმჯობესება	2.1 საწყობის ავარიული შენობის დემონტაჟი	დირექტორი, დ.მოადგილე, იურისტი, მთავარი ბუღალტერი, შესყიდვების სპეციალისტი, ლოჯისტიკი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი			+					საწყობის ავარიული შენობის დასრულებული სადემონტაჟო სამუშაოები
	2.2 კოლეჯის ეზოს კეთილმოწყობა				+					კეთილმოწყობილი კოლეჯის ეზოს ტერიტორია
	2.3 სასწავლო ავტოდრომის კეთილმოწყობა				+					მომსახურების სააგენტოს სტანნდარტების შესაბამისად მოწყობილი ავტოდრომი
IV. სტრატეგიული მიზანი – ფინანსური შესაძლებლობების გაუმჯობესება										
ამოცანა	**განსახორციელებელი აქტივობა**	**პასუხისმგებელი პირები**	**აწგარიშგების პერიოდი**							**იწდიკატორი**
			2019	2020	2021	2022	2023	2024	2025	
1. შემოსვლების გაზრდა ტრენინგ-კურსების (მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამა) განხორციელების საშუალებით	1.1 ტრენინგ-კურსების (მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამა), მომხმარებლის სპექტრის გაფართოვება	დ. მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, იურისტი, მთავარი ბუღალტერი, შესყიდვების სპეციალისტი, ლოჯისტიკი, საქმისმწარმოებელი	+	+	+	+	+	+	+	ყოველწლიური ანგარიში წლის მანძილზე განხორციელებული ტრენინგ-კურსების (მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამა) შესახებ

2. შემოსავლების გაზრდა პროეტების განხორციელების და დონორების მოზიდვის საშუალებით	2.1 დამატებითი ბენეფიტების მომტანი ინოვაციური პროექტების იდენტიფიცირება და განხორციელება	დირექტორი, დ.მოადგილე, კარიერისა და პროფორიენტაციის დაგეგმვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი		+	+	+	+	+	+	ყოველწლიური ანგარიში წლის მანძილზე განხორციელებული პროექტების შესახებ
	2.2 კერძო ინვესტორებისა და დონორების მოზიდვა დამატებითი ბენეფიტების მიღების მიზნით	დირექტორი, დ. მოადგილე		+	+	+	+	+	+	გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები. განხორციელებული პროექტების ანგარიში
3. შემოსავლების გაზრდა სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებით	3.1 კოლეჯში სამეწარმეო საქმიანობის დანერგვა	დირექტორი, დ. მოადგილე, იურისტი, მთავარი ბუღალტერი				+	+	+	+	ყოველწლიური ანგარიში სამეწარმეო საქმიანობის შესახებ
	3.2 სწავლის პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზაციის პროცესების ხელშეწყობა	დ. მოადგილე, იურისტი, მთავარი ბუღალტერი				+	+	+	+	სწავლის პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზაციიდან შემოსული თანხები
4. დამატებითი საქმიანობიდან მიღებული სახსრების კოლეჯის განვითარებაში რეინვესტირება.	4.1 კოლეჯის იმ პრიორიტეტული საქმიანობის განსაზღვრა, რომლის დაფინანსებაც ვერ ხერხდება სახელმწიფოს მიერ	დირექტორი, დ. მოადგილე, იურისტი, მთავარი ბუღალტერი			+					ანალიზის დოკუმენტი კოლეჯის პრიორიტეტული საქმიანობის შესახებ რომლის დაფინანსებაც ვერ ხერხდება სახელმწიფოს მიერ
	4.2 მიღებული დამატებითი შემოსავლების განაწილების დაგეგმვა					+	+	+	+	დამატებითი შემოსავლების განაწილების გეგმა
	4.3 მიღებული დამატებითი შემოსავლებიდან გეგმის შესაბამისად პრიორიტეტების დაფინანსება	მთავრი ბუღალტერი				+	+	+	+	ყოველწლიური ბუღალტრული ანგარიში დამატებითი შემოსვლების განკარგვის შესახებ
V. სტრატეგიული მიზანი - კოლეჯის მომსახურების საზღვრების გაზრდა										
ამოცანა	**განსახორციელებელი აქტივობა**	**პასუხისმგებელი პირები**	**ანგარიშგების პერიოდი**							**ინდიკატორი**
			2019	2020	2021	2022	2023	2024	2025	
1. კოლეჯის მომსახურების დაფარვის სფეროს გაფართოვება	1.1 პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება ან	ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი	+	+	+	+	+	+	+	წლის განმავლობაში მინიმუმ 4-4 პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება ან დადასტურებისა და

	დადასტურება და განხორციელება									განხორციელების ანგარიში
	1.2 მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება	ხარისხის მართვის მენეჯერი				+	+	+	+	მიმდინარე ან განხორციელებულ მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა
	1.3 ინტეგრირებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება	ხარისხის მართვის მენეჯერი			+	+	+	+	+	მიმდინარე ან განხორციელებული ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები
	1.4 ერთობლივი პროგრამების განხორციელება	დ. მოადგილე, იურისტი, ხარისხის მართვის მენეჯერი					+	+	+	მიმდინარე ან განხორციელებული ერთობლივი პროგრამები
	1.5 გაცვლითი პროგრამების განხორციელება	დ. მოადგილე, იურისტი, ხარისხის მართვის მენეჯერი					+	+	+	მიმდინარე ან განხორციელებული გაცვლითი პროგრამები
	1.6 ბაზარზე მოთხოვნადი ინჟინერიის მიმართულების ახალი პროგრამების იდენტიფიცირება და დამატება	კარიერისა და პროფორიენტაციის დაგეგმვის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი		+	+	+	+	+	+	დამატებული ინჟინერიის მიმართულების პროფესიული პროგრამები
	1.7 სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის განვითარების ხელშეწყობა, ახალი პარტნიორების მოძიება	კარიერისა და პროფორიენტაციის დაგეგმვის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი	+	+	+	+	+	+	+	გაფორმებული ხელშეკრულება/მემორანდუმი ახალ პარტნიორებთან და პარტნიორობის შესახებ ანგარიში
2. კოლეჯის მომსახურების გეოგრაფიული დაფარვის ზონს გაფართოვება	2.1 საქართველოში კომპაქტურად მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების პროფესიულ განათლებაში ინტეგრაცია კოლეჯის მომსახურებით დაინტერესების გზით	კარიერისა და პროფორიენტაციის დაგეგმვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი		+	+	+	+	+	+	პროფორიენტაციის ვიზიტების ამსახველი ფოტო/ვიდეო მასალა, წლიური ანგარიშები
	2.3 ამიერკავკასიაში მოთხოვნადი პროფესიების იდენტიფიცირება, საერთაშორისოდ აღიარებული პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება და დანერგვა	დირექტორი, დ. მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი						+	+	საერთაშორისოდ, მათ შორის ამიერკავკასიაში, მოთხოვნადი და აღიარებული პროგრამების განხორციელებაზე მოპოვებული უფლება ან განხორციელებული ამგავრი პროგრამები

	2.4 საზღვარგარეთ მცხოვრები ეთნიკურად ქართველი წარჩინებული სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის შეღავათების დაწესება	დირექტორი, დ. მოადგილე, იურისტი, მთავარი ბუღალტერი	+	+	+	+	+	+	+	ბრძანება საზღვარგარეთ მცხოვრები ეთნიკურად ქართველი წარჩინებული სტუდენტების დაფინანსების შესახებ
3. არსებული მომსახურების პროდუქტების დახვეწა	3.1 ინკლუზიური განათლების განვითარება	ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, სპეციალური საგანმანათლებლო პირის ასისტენტი	+	+	+	+	+	+		ინკლუზიური სტუდენტებისათვის შეთავაზებული სერვისების შესახებ ანგარიში
	3.2 დუალური პროგრამების განხორციელების ადმინისტრირების დახვეწა	ხარისხის მართვის მენეჯერი		+						დაინტერესებული მხარეების ჩართულობით შემუშავებული დუალური პროგრამების განხორციელების ადმინისტრირებისსისტემა
	3.3 დუალური პროგრამების სარეკლამო კამპანიის წარმოება	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი, კარიერისა და პროფორიენტაციის დადეგმვის მენეჯერი		+	+	+	+	+	+	კამპანიის ამსახველი ფოტო/ვიდეო მასალა და ანგარიშები
	3.4 დუალური პროგრამების განხორციელების მსურველი პარტნიორების საზღვრების გაზრდა			+	+	+	+	+	+	გაფორმებული ხელშეკრულება/მემორანდუმი პარტნიორებთან დუალური პროგრამების ერთობლივად განხორციელების თაობაზე და ამგვარი პარტნიორობის შესახებ ანგარიში
	3.5 დუალურ პროგრამებში ჩართული სტუდენტების რაოდენობის გაზრდა			+	+	+	+	+	+	ყოველწლიური სტატისტიკური მონაცემები დუალურ პროგრამაში ჩართული სტუდენტების შესახებ

საკონტაქტო ინფორმაცია

სსიპ კოლეჯი „სპექტრი"
მის.: ბესარიონ ჭიჭინაძის ქ. N10
ტელ.: +995 (32) 240 16 87
245 63 63 (123)

www.fb.com/spectri

spectriorg

spectri.org

კოლეჯი სპექტრი

კოლეჯი სპექტრი
@spectri_org

prof.spectri

spectri.org

კოლეჯი სპექტრი

spectri.org@gmail.com
www.spectri.org